

შპს „გლობალ ტრეიდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	9
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	9
7. დისტრიბუციის ხარჯები	9
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	10
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	10
10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10
11. მარაგები	11
12. სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	11

შპს „გლობალ ტრეიდი“

ინდივიდუალური მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022 (არააუდიტირებული)	2021 (არააუდიტირებული)
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	5	9,438,948	5,915,162
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	-8,204,042	-5,699,927
საერთო მოგება		1,234,906	215,235
დისტრიბუციის ხარჯები	7	-202,458	-37,140
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	-15,872	-12,690
საკურსო მოგება/(ზარალი)		-2,155,007	-889,886
სხვა ხარჯები		0	0
სხვა შემოსავლები		17,628	12,424
მოგება დაბეგვრამდე		-1,120,803	-712,057
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		-1,120,803	-712,057

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:



დიმიტრი ბერუაშვილი
დირექტორი

5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „გლობალ ტრეიდი“**ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022 (არააუდიტირებული)	2021 (არააუდიტირებული)
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	578,289	486,216
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	16,461,037	16,350,930
ავანსები მომწოდებლებთან		6,848	5,922
მარაგები	11	626,575	139,042
სხვა მიმდინარე აქტივები		54,679	56,920
სულ მიმდინარე აქტივები		17,727,428	17,039,030
სულ აქტივები		17,727,428	17,039,030
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	12	2,079,795	270,593
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,079,795	270,593
სულ ვალდებულებები		2,079,795	270,593
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		15,647,633	16,768,437
სულ საკუთარი კაპიტალი		15,647,633	16,768,437
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,727,428	17,039,030



ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:

5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „გლობალ ტრეიდი“

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	0	17,480,478	17,480,478
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება		-	
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		-712,057	-712,057
გაცემული დივიდენდი		-	
კორექცია		16	16
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	0	16,768,437	16,768,437
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება		-	
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		-1,120,803	-1,120,803
გაცემული დივიდენდი			
კორექცია		-1	-1
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	0	15,647,633	15,647,633

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:



5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „გლობალ ტრეიდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	121,453	-423,487
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	121,453	-423,487
სავალუტო კურსის ეფექტი	-29,380	762
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	486,216	908,941
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	578,289	486,216

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 20 სექტემბერს:



5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „გლობალ ტრეიდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „გლობალ ტრეიდი“ (400031309) (შემდგომში „კომპანია“) ოპერირებს 2012 წლიდან, დაფუძნებულია საქართველოს რეზიდენტი კომპანია შპს “შარმ ტრეიდინგის”(211397004) მიერ. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია ქსნის ქ. 36, თბილისი, 0141, საქართველო. ეს არის სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე ლოგისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერული, კოსმეტიკური, ჰიგიენისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის რეექსპორტი. კომპანიის შექმნის ძირითადი მიზანი გახლავთ ლოგისტიკური ამოცანების ოპტიმიზაცია, ე.წ. ლოგისტიკური სარეექსპორტო ჰაბის შექმნა, რომლის საშუალებითაც უფრო მარტივად და ოპერატიულად ხდება ზოგადად სავაჭრო ოპერაციების განხორციელება საქართველოს ტერიტორიის გავლით. ასევე გააღვილებულია სავაჭრო ურთიერთობები ისეთ ქვეყნებს შორის ვისაც არ აქვთ პირდაპირი/ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები. მაგალითად, გამარტივებულია თურქული წარმოშობის პროდუქციის მიწოდება სომეხი პარტნიორებისათვის.

2. მომზადების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოსატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის	
	ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ბანკებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალეები. საეჭვო და უიმედო ვალეების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. მარაგის თვითღირებულების ჩამოწრა ხდება FIFO მეთოდით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

იქიდან გამომდინარე რომ კომპანია წარმოადგენს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოს სარგებლობს მოგების გადასახადისგან განთავისუფლების პირობით.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ღირებულებები. ღირებულებები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღირებულება, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს „გლობალ ტრეიდი“**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	9,438,948	5,915,162
სხვა შემოსავალი	0	0
სულ	9,438,948	5,915,162

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
გაცივებული/შეძენილი საქონელი	8,204,042	5,699,927
შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება	0	0
სულ	8,204,042	5,699,927

7. დისტრიბუციის ხარჯები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
იჯარის ხარჯი	14,520	15,840
ტრანსპორტირების ხარჯები	187,938	21,300
სულ	202,458	37,140

შპს „გლობალ ტრეიდი“**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და მასთან დაკავშირებული გადასახადები	11,194	10,601
საბანკო გადასახადები	4,178	2,089
სხვა	500	0
სულ	15,872	12,690

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	0	0
ფული ბანკში	578,289	486,216
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	578,289	486,216

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	16,461,037	16,350,930
სხვა დებიტორული დავალიანება		
მთლიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	16,461,037	16,350,930
მინუს: უიმედო თანხების დაშვება	0	0
სულ	16,461,037	16,350,930

შპს „გლობალ ტრეიდი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები
ვადაგადაუცილებელი	16,461,037	16,350,930
0-დან 30 დღის ვადაგადაცილება	0	0
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	0	0
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	0	0
91 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული	0	0
სულ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული	16,461,037	16,350,930
უვალო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	0	0
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	16,461,037	16,350,930

11. მარაგები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	1,088	139,042
საქონელი გზაში	625,487	0
სულ	626,575	139,042

12. სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,079,795	270,593
სულ	2,079,795	270,593

